


მოგესალამებით,


გამოკითხვის GOOGLE ფორმით გასაკეთებლად გაიარეთ შემდეგი ნაბიჯები:

1. ინტერნეტის ბრაუზერში, მისამართის ველში შეიყვანეთ შემდეგი მისამართი: <http://forms.google.com/>


*საჭიროების შემთხვევაში გაიარეთ ავტორიზაცია GMAIL ექსპნით.



2. ქვედა მარჯვენა კუთხეში, აირჩიეთ +-ის სიმბოლო.




3. თქვენს ბრაუზერში გაიხსნება შემდეგი დიზაინის გვერდი (იხ.ფოტო)



4. ველში „დაუსათაურებელი ფორმა“ შეიყვანეთ გამოკითხვის სახელწოდება

5. ველში ფორმის აღწერილობა შეიყვანეთ გამოკითხვის მოკლე აღწერა და მიუთითეთ რომელი პროექტის ფარგლებში ტარდება.


6. ველში „უსათაურო შეკითხვა“ შეიყვანეთ კითხვა.



7. ველში „რამდენიმე სავარაუდო პასუხი“ შეგიძლიათ არჩიოთ კითხვაზე პასუხის გაცემის ვერსიები.


**იმ შემთხვევაში თუ თქვენს კითხვაზე რამდენიმე სავარაუდო პასუხი გაქვთ, ველებში „ვარიანტი 1“, ვარიანტი 2“ და ასე შემდეგ მიუთითეთ სავარაუდო პასუხები.*

8. კითხვის დამატება შეგიძლიათ სიმბოლო + _ზე დაკლიკვით.




**ამ გზით შეგიძლიათ დაამატოთ ნებისმიერი რაოდენობის კითხვა.*

9. კითხვების შეყვანის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ კითხვარი გააგზავნოთ შესავსებად. ამისათვის უნდა აირჩიოთ ღილაკი „გაგზავნა“ ზედა მარჯვენა კუთხეში.




10. ღილაკის „გაგზავნა“ არჩევის შემდეგ, აირჩიეთ „ბმულის“ სიმბოლო და შემდეგ დააკლიკეთ ღილაკზე კოპირება.

**მე-10 ნაბიჯის შესრულების შემდეგ თქვენ უკვე დაკოპირებული გაქვთ ბმული, რომელიც შეგიძლიათ გაუგზავნოთ ადამიანებს, რომლებმაც უნდა შეავსონ იგი.*



11. თქვენ, პასუხების ნახვა შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე - <http://forms.google.com/>. მისამართზე გადასვლის შემდეგ შედით შექმნილ კითხვარში და გახსნილ ფანჯარაში აირჩიეთ ველი „პასუხები“.



*პასუხები შეგიძლიათ იხილოთ როგორც გახსნილ ფანჯარაში, ასევე ინდივიდუალურად ან EXCEL ფორმაში.


12. პასუხების გასაგზავნად გამოიყენეთ ექსელის ფაილი. ამისათვის პასუხების ფანჯარაში უნდა აირჩიოთ ფოტოზე მითითებული სიმბოლო.



გახსნილ ფანჯარაში აირჩიეთ ღილაკი შექმნა.



გახსნილ ფანჯარაში აირჩიეთ ღილაკი „ფაილი“, შემდეგ ჩამოტვირთვა, შემდეგ Microsoft EXCEL. (იხილეთ ფოტო)



გისურვებთ წარმატებებს!